განმარტებითი ბარათი
საქართველოს ევროპისა და ხმელთაშუაზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO) გაწევრიანებასთან დაკავშირებით

საქართველო მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციას (IPPC) შეუერთდა 2007 წელს. აღნიშნული კონვენციის IX მუხლის პირველი პუქნტის შესაბამისად: „ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან, ითანამშრომლონ საჭიროებისამებრ განსაზღვრულ ადგილებში მცენარეთა დაცვის რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბების მიზნით".

საქართველო, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცის (WTO) გაწევრიანდა 2000 წელს. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი შეთანხმების „სანიტარული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ" (მუხლი 3) თანახმად, „თავისი შესაძლებლობის ფარგლებში წევრები სრულფასოვან მონაწილეობას იღებენ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი დამხმარე ორგანოების, განსაკუთრებით „კოდექს ალიმენტარიუსის", ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროს, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მუშაობაში, რომლებიც მოქმედებენ მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში, რათა ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს სტანდარტების, წესებისა და რეკომენდაციების შემუშავებასა და პერიოდულ გადასინჯვას სანიტარული ფიტოსანიტარიული ზომების ყველა ასპექტთან მიმართებაში".

შესაბამი საერთაშორისო ორგანიზაციას ფიტოსანიტარიის სფეროში წარმოადგენს ევროპისა და ხმელთაშუაზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია (EPPO). ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება (ევროპისა და ხმელთაშუაზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შესახებ კონვენციასთან შეერთება) წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს საქართველოსათვის. აღნიშნული პირობის შესრულება ასევე დაფიქსირებულია საქართველო - ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში.

EPPO ახორციელებს კონსულტაციებსა და უშუალო დახმარებებს მონაწილე ქვეყნებისადმი იმ ადმინისტრაციული და საკანონმდებლო აქტების გატარებაში, რომლებიც აუცილებელია ქვეყნებს შორის ვაჭრობის დროს საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან მკვეთრი შეზღუდვისათვის. მცენარეთა დაცვისა და კარანტინის ყველა ძირითადი სახელმწიფო ღონისძიების განხორციელება EPPO-ს წევრ ქვეყნებში ეფუძნება ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. დღეისათვის EPPO-ში გაწევრიანებულია 50 ქვეყანა, მათ შორის აზიიდან ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი.

საქართველოს, ევროპისა და ხმელთაშუაზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO) გაწევრიანების შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

1. ქვეყანა მიიღებს EPPO-ს მიერ შექმნილ და მხარდაჭერილ მონაცემთა ბაზასა და სრულ თანამედროვე ფიტოსანიტარიულ ინფორმაციას.

2. საერთაშორისო ვაჭრობაში EPPO-ს წევრი ქვეყნიდან ექსპორტირებულ მცენარეებსა და მცენარეული პროდუქციის მიმართ დამოკიდებულება იმპორტიორი ქვეყნების მხრიდან, გამოირჩევა გაზრდილი ნდობით.

3. ქვეყნის ექსპერტებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო შეკრებებსა და კონფერენციებში და ამგვარი მონაწილეობით ზეგავლენა მოახდინონ შესამუშავებელ საერთაშორისო სტანდარტებზე (რათა გათვალისწინებული იქნას ქვეყნის ინტერესები).

4. ქვეყანა მიიღებს შესაძლებლობას, სხვა ქვეყნებთან ფიტოსანიტარიული დავები დაარეგულიროს EPPO-ს ტრიბუნის მეშვეობით.

5. DCFTA-ით ფიტოსანიტარიის სფეროში გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულება.

EPPO-ში გაწევრიანებით, საქართველო შეძლებს: თავისი ტერიტორიის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ტყის ჯიშების ფიტოსანიტარიული დაცვის დონის ოპტიმიზაციის მიღწევას; ფიტოსანიტარიულ-საკარანტინო ღონისძიებების კოორდინირებას და ჰარმონიზებას EPPO-ს წევრი ქვეყნების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მიმართ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაჭრობის დროს; ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით საქართველოს, როგორც კეთილსაიმედო - სატრანზიტო ქვეყნის იმიჯის დამკვიდრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საქართველო გაწევრიანდეს ევროპისა და ხმელთაშუაზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO).

ყოველწლიური საწევრო შესატანი ამ ორგანიზაციაში საქართველოსთვის იქნება 12000 ევრო, რომელიც საქართველოს მხრიდან თხოვნის შემთხვევაში პირველი წლისთვის შეიძლება შემცირდეს 50%-ით.